საკონკურსო განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს- სოფ. მუხრანის ცენტრში და სოფ. ძეგვში ჭაბურღილების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას კონკურსანტი პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

საპროექტო დოკუმენტაცია:

1. განმარტებითი ბარათი;
2. წყლის საპროექტო დებეტი;
3. ჭაბურღილის მდებარეობა (სიტუაციური რუკა 1:2000 მასშტაბი);
4. თითოეულ ჭაბურღილზე ე.წ. „ჭაბურღილის პასპორტი“;
   „ჭაბურღილის პასპორტი“:
   ა) ჭაბურღილის მდებარეობა;
   ბ) სათავის აბსოლუტური ნიშნული;
   გ) წყალშემცველი ჰორიზონტის დეტალური დახასიათება;
   დ) ჭაბურღილის კონსტრუქციის დეტალური დახასიათება;
   ე) წყალშემცველი ჰორიზონტის დასინჯვა;
   ვ) წინასწარი ამოტუმბვა (ერლიფტის გამოყენებით)-8 სთ;
   ზ) დეტალური ამოტუმბვა (ერლიფტის გამოყენებით)-24 სთ;
   თ) წყალშემცველი ჰორიზონტის ფილტრაციის კოეფიციენტის განსაზღვრა;
   ი) წყალშემცველი ჰორიზონტის დინამური დონის დადგენა;
   კ) წყალშემცველი ჰორიზონტის სტატიკური დონის დადგენა;
   ლ) წყლის ქიმიური სრული ანალიზის ჩატარება;
   მ) წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზის ჩატარება.
5. მოცულობათა უწყისი;
6. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
7. მშენებლობის ორგანიზაცია.

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის კონკურსანტი პირი იხდის საფასურს -50 ლარს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101757

მიმღები: ს.ს.ი.პ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში №10591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

1. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
2. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
3. კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
4. საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ზემოაღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტი პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადებია გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღე, ხოლო წინადადების მიღებიდან 5 სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინონ „წინა ესკიზური პროექტები“, საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინანადების ფასი, საბოლოოდ საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლარად და პლიუს ელექტრონული ვერსია, ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში წარმოადგინოს დასრულებული პროექტი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სავარაუდო ღირებულებაა 2 100 (ორიათას ასი) ლარი, ხოლო სამშენებლო სამუშაოების ღირებულებაა 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი.

საკონკუსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ზემოთმითითებულ ყველა პირობას, შესაბამისი დოკუმენტი არ განიხილება.

მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №73

ტელ: 51-26-96